



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “ბიბოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი №18145/05)

ბადაყვივტილება

სტრასბურში

2008 წლის 8 ივლისი

საბოლოო ბახდა

08/10/2008

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე “გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ”,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი, პრეზიდენტი,

ირენეუ კაბრალ ბარეტო,

ვლადიმერო ზაგრებელსკი,

დანუტე ჯოშიენე,

ანდრაშ შაიო,

ნონა წოწორია,

იხილ კარაკასი, მოსამართლეები,

და სალი დოლე, სექციის განმწესრიგებელი.

2008 წ. 17 ივნისის დახურულ სხდომაზე განხილვის შემდეგ, ამავე დღეს, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№18145/05) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2005 წ. 27 აპრილს, სასამართლოში შემოიტანა საქართველოს მოქალაქემ, ბ-ნმა კობა გიგოლაშვილმა (“მომჩივანი”) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე.

2. მომჩივანს წარმოადგენდა ბ-ნი მალხაზ ჯანგირაშვილი, ადვოკატი თბილისიდან. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახემლწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი დავით თომაძე იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2007 წ. 25 ივნისს, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მთავრობისათვის კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტის “c” ქვეპუნქტის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის კომუნიფიცირების შესახებ, რომელიც ეხებოდა განმცხადებლის წინასწარ პატიმრობაში ყოფნას შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლომ აგრეთვე გადაწყვიტა საჩივარის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

4. მხარეების მიერ დაწყებული მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. მიუხედავად შეხსენებებისა, ვერც ერთმა მხარემ ვერ წარმოადგინა საჩივარის დასაშვებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებული მიმოხილვები. თუმცა, 2007 წ. 11 ნოემბრის წერილში, მომჩივანმა გარკვევით მიუთითა, რომ მას სურდა, სასამართლოს განეხილა მისი საქმე.

ფაქტები

I. საქმის ბარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1966 წელს და ცხოვრობს რუსთავეში.

6. 2003 წ. 6 დეკემბერს, მომხივანი დაკავებულ იქნა პოლიციის მიერ ნარკოტიკების უკანონო შენახვის ბრალდებით.

7. 2003 წ. 8 დეკემბერს, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მომხივანს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ გაიზიარა პროკურორის არგუმენტი, მხედველობაში მიეღო განმცხადებლისთვის წაყენებული წინა ბრალდება, რომლისთვისაც იგი გამოსაცდელი ვადით იქნა გამოშვებული, რაც წარმოშობდა საფუძვლიან ეჭვს, რომ ახალი პროცესის დაწყებამდე, იგი თავს აარიდებდა სასამართლოში გამოცხადებას.

8. 2004 წ. 19 თებერვალს, გამოძიებამ მომხივანსა და ორ სხვა პიროვნებას წაუყენა დანაშაულის განზრახ ჩადენის, იარაღის უკანონო ფლობის, ყაჩაღობისა და მკვლელობის ბრალდება.

9. 2004 წ. 4 მარტს, თბილისის საოლქო სასამართლომ მომხივანს პატიმრობის ვადა 2004 წ. 5 მაისამდე გაუგრძელა.

10. 2004 წ. 29 აპრილს, საქმის მთავარმა გამოძიებელმა, მომხივანსა და ორ სხვა დაკავებულ პიროვნებას გამოძიების დასრულების შესახებ აცნობა და საქმის მასალების გაცნობა შესთავაზა. მომხივანმა გააპროტესტა გამოძიების დასრულება და მოითხოვა დამატებითი მოწმეების დაკითხვა. 2004 წ. 29 აპრილის გადაწყვეტილებით, იმ არგუმენტით, რომ მომხივანს ადრეც შეეძლო ამ მოთხოვნით მიმართვა, გამოძიებელმა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა როგორც პროცესის გახანგრძლივების მცდელობა.

11. 2004 წ. 5 მაისს განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის პერიოდი ამოიწურა მისი გახანგრძლივების თაობაზე შესაბამისი სასამართლო ბრძანების გარეშე.

12. 2004 წ. 13 მაისს, მომხივანმა საჩივრით მიმართა ცომპეტენტურ ბრალმდებელ ორგანოს 2004 წ. 5 მაისამდე უკანონო პატიმრობაში ყოფნის თაობაზე. მან ასევე გაასაჩივრე გამოძიების ნაადრევად დასრულება.

13. 2004 წ. 16 მაისის გადაწყვეტილებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა უსაფუძვლობის მოტივით არ დააკმაყოფილა განმცხადებლის 2004 წ. 13 მაისის საჩივარი. რაც შეეხება 2004 წ. 5 მაისამდე სავარაუდო უკანონო პატიმრობას, პროკურორი ამტკიცებდა, რომ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, საქმის მასალების შესწავლის ვადა არ ითვლებოდა პატიმრობის ვადაში. რამდენადაც მომხივანმა და მისმა წარმომადგენლებმა საქმის მასალების შესწავლა დაიწყეს 2004 წ. 30 აპრილს, რასაც ადასტურებს გამოძიებლის მიერ გაკეთებული ჩანაწერები, იმ დროიდან განმცხადებლის დაკავება შეუძლებელია უკანონოდ ყოფილიყო მიჩნეული.

14. 2004 წ. 8 ივლისს, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა პროკურორმა, სისხლის სამართლის საქმე, საბრალდებო დასკვნასთან ერთად, განსახილველად გაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, სამი ბრალდებული და მათი იურისტები საქმის მასალებს განიხილავდნენ 2004 წ. 30 აპრილიდან 7 ივლისამდე.

15. 2004 წ. 26 ოქტომბერს, მომხივანმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ არცერთი სასამართლო გადაწყვეტილებით არ არსებობდა 2004 წ. 5 მაისიდან მისი დაპატიმრების უფლება. როგორც პროკურორმა განმარტა, საქმის მასალების შესწავლის დრო არ ჩათვლიდა პატიმრობის ვადად. მომხივანმა, მრავალ ფაქტობრივ დეტალზე დაყრდნობით, საჩივარა, რომ

უპირველეს ყოვლისა, მისმა იურისტმა ეს საკითხი სრულყოფილად შეისწავლა 30 აპრილსა და 1 მაისს, ორსაათნახევარში. გარდა ამისა, იგი დაობდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ გამოძიებლის ფორმალური ჩანაწერები იყო სარწმუნო, საქმის განხილვა დასრულებულად 2004 წ. 8 ივლისამდე უნდა ჩათვლილიყო. იმის გათვალისწინებით, რომ მისი საქმე სასამართლოს მხოლოდ 2004 წ. 8 ივლისს გადაეგზავნა, მომჩივანი ირწმუნებოდა, რომ იგი სულ მცირე, 10 დღის განმავლობაში, ის უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. ზემოხსენებული არგუმენტებიდან გამომდინარე, მომჩივანმა დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა.

16. 2004 წ. 27 ოქტომბერს, უზენაესმა სასამართლომ განმცხადებლისა და ორი სხვა პიროვნების საქმის განხილვის შემდგომ, მათ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) 427, 425 და 428-ე მუხლების თანახმად. უკანონო თავისუფლების აღკვეთის შესახებ განმცხადებლის მტკიცებაზე პასუხის გაცემის გარეშე, სასამართლომ შეუფრდა აღმკვეთი ღონისძიება “ბრალდების ხასიათზე“ დაყრდნობით და დასაშვებობის ეტაპზე გათავისუფლების შესახებ განცხადებლის არგუმენტების ამომწურავი სამართლებრივი შეფასების უუნარობის საფუძველზე.

17. როგორც საქმიდან გახდა ცნობილი, 2005 წ. 6 მაისს, უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა იურისდიქციაზე სისხლის სამართლის საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სასარგებლოდ. 2005 წ. 31 მაისს, მომჩივანმა გაასაჩივრა უკანონო პატიმრობაში ყოფნა ამ უკანასკნელის წინაშე, წინა არგუმენტებზე დაყრდნობით.

18. 2005 წ. 20 ივლისს, თბილისის საოლქო სასამართლომ უსაფუძვლობის მოტივით უარყო განმცხადებლის საჩივარი. საქმის ყველა გარემოების საფუძველიანი განხილვის შემდეგ, სასამართლომ აღმოაჩინა, რომ მოპასუხეებმა და მათმა წარმომადგენლებმა საქმის მასალების შესწავლა დაიწყეს 2004 წ. 30 აპრილს, გამოძიების დასრულებისთანავე (2004 წ. 29 აპრილს). ეს პროცესი გაგრძელდა 2004 წ. 7 ივლისამდე, ერთი დღით ადრე, სანამ საქმე პროკურორის მიერ გაიგზავნებოდა განსახილველად სასამართლოში. იმის განმეორებით, რომ სსსკ-ის 406§4 მუხლის თანახმად საქმის გადამოწმების პერიოდი არ მოიაზრება პატიმრობაში ყოფნის ვადად, საოლქო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნა 2004 წ. 30 აპრილიდან 7 ივლისამდე არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

19. 2006 წ. 5 ივლისის ბრძანებაში, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმე გადაგზავნილ იქნა განსახილველად 2004 წ. 8 ივლისს. სსსკ-ის 680-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტის თანახმად წინასწარი დაკავების დასაშვები ვადა, 24 თვე, ამოიწურებოდა 2006 წ. 8 ივლისს. პრეზიდენტმა გამოიყენა ამავე მუხლით არსებული პრეროგატივა, გაეზარდა პატიმრობის ვადა გამონაკლის შემთხვევებში და მომჩივანს პატიმრობის ვადა 2006 წ. 8 ნოემბრამდე გაუგრძელა.

20. თბილისის საოლქო სასამართლოს 2006 წ. 22 დეკემბრის განაჩენით, მომჩივანი მსჯავრდებულ იქნა ზემოაღნიშნულ დანაშაულებში და მიესაჯა პატიმრობა 12 წ. ვადით. განაჩენის თანახმად, პატიმრობის ვადის ათვლა დაიწყო განმცხადებლის დაკავების დღიდან - 2003 წ. 6 დეკემბრიდან.

II. შუსაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

21. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი („სსსკ“), რომელიც ძალაში იყო მოცემულ დროს

მუხლი 406§4-„საქმის მასალების გაცნობის დრო“

„ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ საქმის გაცნობის დრო არ ჩაითვლება ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის კანონით დადგენილ ვადაში.“

მუხლი 417§§1 და 3 - „განსახილველად გადაცემა“

„1. როდესაც არსებობს საქმის განხილვისთვის საკმარისი საფუძველი, მოსამართლე (სასამართლო), საქმის არსებითი ნაწილის განხილვის გარეშე აგზავნის მას სასამართლოში განსახილველად...“

3. დასაშვებობის განხილვის დროს, მოსამართლე (სასამართლო) სასამართლოში განხილვისთვის გადაცემასთან ერთად გადაწყვეტს ადკეთი ღონისძიების დანიშვნის საკითხს.“

მუხლი 419 - „რეგლამენტი გადაგზავნის საკითხის განსახილველად“

მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს ბრალდებულის საქმის განსახილველად გადაცემის საკითხი თოთხმეტი დღის განმავლობაში, ან გართულებული საქმის შემთხვევაში, იმავე მოსამართლესთან (სასამართლოსთან) რეგისტრირებული ბოლო გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.“

სსსკ განასხვავებდა პატიმრობის ორ პერიოდს: დაკავება, როდესაც „გამოძიება განხილვის პროცესშია“, სანამ საქმე იქნა გამოძიებული და დაკავება, როდესაც „სასამართლო განხილვის პროცესშია“, სანამ საქმე სასამართლოს მიერ განხილვის პროცესში იყო. თუმცა, პრაქტიკაში არ არსებობდა განსხვავება დაკავების ამ ორ პერიოდს შორის, ვადების დაანგარიშება იყო განსხვავებული.

2005 წ. 25 მარტის ცვლილებით, კოდექსის 680-ე მუხლის 4-ე პუნქტი შეიცავდა ზემოხსენებული დაკავების პერიოდის რეგულირების დროებით ნორმებს. 680-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის თანახმად, ეს დროებითი ნორმები, განსაკუთრებით ისინი რომლებსაც შეიცავდა 680-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტი, ძალაში რჩებოდა 162-ე მუხლის ძალაში შესვლამდე, რომელიც წარმოადგენდა დაპატიმრების უფრო ხანმოკლე ვადას.

681-ე მუხლის მე-9 ქვეპუნქტის თანახმად, 162-ე მუხლი ძალაში შევიდოდა 2006 წ. 1 იანვარს.

680-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტის თანახმად, თუ მხოლოდ იურისდიქციის 2 საფეხური იყო ჩართული, დაკავების „სასამართლო განხილვის პროცესში“ დასაშვები ვადა 24 თვე იყო. „განსაკუთრებულ შემთხვევებში“, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს შეეძლო გაეგრძელებინა ეს ვადა მაქსიმუმ ოცდაათ თვემდე.

2006 წ. 28 აპრილის ცვლილებამ, რომელიც ძალაში შევიდა 2006 წ. 13 მაისს, კიდევ შეასწორა 162-ე მუხლი. ამ ცვლილებით 9 თვემდე შემცირდა „გამოძიებისა“ და „განსახილველად გადაცემისათვის“ ერთობლივად არსებული მაქსიმალური ვადა. ამავდროულად 681-ე მუხლის მე-2 პუნქტი იქნა შეცვლილი

რათა 162-ე მუხლი ამოქმედებულიყო 2007 წ. 1 იანვრიდან. შედეგად, 680-ე მუხლის მე-4 პუნქტში არსებული დროებითი წესები დაკავების ვადებთან დაკავშირებით დარჩა ძალაში 2007 წ. 1 იანვრამდე (იხ. 680-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის I ქვეპუნქტი).

22. 2003 წ. 16 დეკემბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საჩივრით ეჭვქვეშ იქნა დაყენებული სსსკ-ს 406§4 მუხლის კონსტიტუციურობა. 2003 წ. 16 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ საჩივარა, რომ დებულება არა მარტო არაკონსტიტუციური იყო, არამედ შეუსაბამო იყო კონვენციის 5§1 მუხლთან. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილების არსებით ნაწილში დაადგინა, რომ იმისათვის, რათა მომხდარიყო “საგამოძიებო ორგანოებში სირთულეების წარმოშობის თავიდან აცილება”, განაჩენის შესრულება დებულების გაუქმებით გადავადებულიყო 2004 წ. 25 სექტემბრამდე.

23. 1996 წ. 31 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, როგორც მოქმედება იმ დროისათვის

23-ე ნაწილის I პუნქტის თანახმად, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ჩათვლიდა საკანონმდებლო დებულებას არაკონსტიტუციურად, ეს დებულება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი ამ განაჩენის გამოტანის მომენტიდან.

25-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს განაჩენი გამოტანისთანავე უნდა აღსრულდეს მისი გამოცხადებისთანავე თუ ამისთვის სხვა თარიღი არ იქნა დადგენილი.

სამართალი

I. კონვენციის მე-5 მუხლის § 1 (c) პარაბრაზის სამართალო დარღვევა

24. კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტის “c” ქვეპუნქტის საფუძველზე, მომჩივანმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ მისი პატიმრობა 2004 წ. 5 მაისიდან იყო უკანონო. მან საჩივარა ისიც, რომ სსსკ-ს 680-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტი უკვე გაუქმებული იყო მაშინ, როდესაც უზენაესი სასამართლოს თავჯდომარემ იგი დატოვა პატიმრობაში 2006 წ. 5 ივლისს. კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად:

(c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის

საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.”

ა. ზოგადი შენიშვნა

25. სასამართლო აცხადებს, რომ არც მთავრობასა და არც მომჩივანს არ წარმოუდგენიათ მიმოხილვები საჩივარის დასაშვებობისა არსებითი ნაწილის თაობაზე მას შემდეგ, რაც მთავრობას გაეგზავნა შეტყობინება საჩივარის შესახებ. თუმცა, 2007 წ. 11 ნოემბრის წერილის განხილვის შემდეგ, სასამართლომ გამოარკვია, რომ მომჩივანი ერთმნიშვნელოვნად ინარჩუნებს მის საჩივარში არსებულ ინტერესს (*იხ.* §3-4 ზემოთ). შესაბამისად, სასამართლო წყვეტს, გააგრძელოს საჩივარის შესწავლა.

ბ. დასაშვებობა

1. განმცხადებლის 2004 წ. 5 მაისიდან 27 ოქტომბრამდე დაკავების უკანონობის შესახებ

26. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი, კონვენციის 35§3 მუხლის თანახმად არ არის აშკარად დაუსაბუთებელი. სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძველით. შესაბამისად ის უნდა გამოცხადდეს დასაშვებად.

2. 2006 წ. 5 ივლისის დაკავების ბრძანება

27. მომჩივანმა გაასაჩივრა ის ფაქტი, რომ უზენაესი სასამართლოს თავჯდომარის მიერ გაცემული 2006 წ. 5 ივლისის დაკავების ბრძანება იყო უკანონო, რამდენადაც, მომჩივანისავე თანახმად, ბრძანება გაიცა იმ დროისთვის, უკვე გაუქმებული სსსკ-ს 680-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტის საფუძველზე.

28. სასამართლოს დაკვირვებით, სსსკ-ს 680§4 მუხლი, რომელიც შეიცავს დაკავების პერიოდის გამოთვლის ნორმებს, ძალაში იყო 2007 წ. 1 იანვრამდე. შესაბამისად, სსსკ-ს 681§2 მუხლის 2006 წ. 28 აპრილის ცვლილება ძალაში შევიდოდა 2006 წ. 13 მაისს და ვრცელდებოდა მათ შორის 680-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-9 ქვეპუნქტში არსებული წესების კანონიერებაზეც, 2007 წ. 1 იანვრამდე. (*იხ.* §21 ზემოთ).

29. შედეგად, განმცხადებლის საჩივრის ეს ასპექტი კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტის “ც” ქვეპუნქტის შესაბამისად, არის აშკარად დაუსაბუთებელი და უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ბ. არსებითი მხარე

30. სასამართლოს დაკვირვებით, 2004 წ. 4 მარტის ბოლო დაპატიმრების ბრძანება დასრულდა 2004 წ. 5 მაისს და განცმხადებლის წინასწარი დაკავება ნათლად არ იყო დაშვებული სასამართლოს ბრძანებით (*იხ.* §§9 და 11 ზემოთ). ეს სიტუაცია გაგრძელდა 2004 წ. 27 ოქტომბრამდე, როდესაც უზენაესმა სასამართლომ სსსკ-ს 417§3 მუხლის შესაბამისად, განსახილველად გადასცა საქმე და დაუშვა მისი დაპატიმრების გაგრძელება (*იხ.* §16 ზემოთ).

31. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტის “ე” ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი აღმოჩენილ იქნა მრავალ საქმეში, რომლებიც ეხებოდა ბრალდებულთა დაკავებას პატიმრობაში მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ისინი სწავლობდნენ სისხლის სამართლის საქმეს და/ან რომ საბრალდებო დასკვნა გადაგზავნილ იქნა სასამართლოში საქმის განსახილველად. ბრალდებულების დაკავება კონკრეტული სამართლებრივი საფუძველის ან მათი სიტუაციის მარეგულირებელი წესების გარეშე - იმ შედეგით, რომ მათ თავისუფლება აქვთ აღკვეთილი განუსაზღვრელი ვადით, სამართლებრივი საფუძველის გარეშე, ეწინააღმდეგება სამართლებრივი სიზუსტისა და დაუსაბუთებელი დაკავებაგან დაცვის პრინციპებს, რომლებიც წარმოადგენს კონვენციისა და კანონის უზენაესობის მთავარ ძაფს (*იხ.* სხვებთან ერთად, *ჯეკიუსი ლიტვის წინააღმდეგ*, №34578/97, §§ 57-64, ECHR 2000-IX; *სტასაიტისი ლიტვის წინააღმდეგ*, №47679/99, §§ 56-61, 2002 წ. 21 მარტი; *გრაუსლისი ლიტვის წინააღმდეგ*, №36743/97, §§ 39-41, 2000 წ. 10 ოქტომბერი; *ბარანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ*, №28358/95, §§ 53-58, ECHR 2000-III; *ხუდლიოროვი რუსეთის წინააღმდეგ*, №6847/02, §§ 146, ECHR 2005-...(ამონაწერები)).

32. სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ განსხვავდება ზემოხსენებული *ბარანოვსკის*, *ჯეკიუსის* ან *ხუდლიოროვის* საქმეებისგან, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და იმ დროის პრაქტიკაშიც მსგავსი დეფიციტია.

33. პირველი, 2004 წ. 5 მაისიდან 7 ივლისამდე მომჩივანი სსსკ-ს 406§4 მუხლის თანახმად, იმყოფებოდა პატიმრობაში მხოლოდ საქმის მასალების შესწავლის პროცესის მითითებით, რომელიც, მართალია შეესაბამება შიდა კანონმდებლობას (*იხ.* *ჯეკიუსი*, ციტირებული ზემოთ, §56 და *გრაუსლისი*, ციტირებული ზემოთ, §39), თუმცა სრულიად უცხოა კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტისათვის (*იხ.* მაგ., *ჯეკიუსი*, ციტირებული ზემოთ, §59). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემდგომში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა სსსკ-ს 406§4 მუხლის კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტთან შეუსაბამობა (*იხ.* §22 ზემოთ).

34. მეორე, 2004 წ. 8 ივლისიდან 27 ოქტომბრამდე განმცხადებლის დაპატიმრება იყო გამართლებული იმ ფაქტით, რომ საქმე განსახილველად იყო გადაგზავნილი სასამართლოში. სასამართლო ამ მხრივ შენიშნავს, რომ იმ დროს მოქმედი სსსკ-ს 417-ე მუხლის I და მე-3 პუნქტების თანახმად, როდესაც პროკურორმა შეწყვიტა გამოძიება და უფლებამოსილ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გაუგზავნა, ამ უკანასკნელმა განიხილა საქმის დასაშვებობა და გადაწყვიტა, რამდენად საჭირო იყო ბრალდებულის

საქმის განხილვა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენება განმცხადებლის მიმართ.

35. თუმცა, პრობლემა წარმოიშვა ამგვარი მოსმენის ვადებთან დაკავშირებით. სსსკ-ს 419-ე მუხლის თანახმად, დასაშვებობის განხილვა უნდა მომხდარიყო 14 დღის ვადაში ან, “რთული საქმეების” შემთხვევაში, იმავე მოსამართლის მიერ ბოლო საქმის გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. თუმცა, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა შეზღუდული დრო “ბოლო” საქმის გადაწყვეტისათვის. ამავდროულად, სსსკ არ ითხოვდა სასამართლოს ბრძანებას ბრალდებულის დაკავებისათვის და არც ამგვარი დაკავების ვადებს აღგენდა. ამგვარი სამართლებრივი ხარვეზი იწვევდა ყველანაირი სამართლებრივი გადაწყვეტილების გარეშე ბრალდებულების თვეობით დაკავებას, როგორც ეს მოხდა მოცემულ საქმეში (*იხ. აბხანძე საქართველოს წინააღმდეგ (dec.)*, №57861/00, 2004 წ. 20 ივლისი; *რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (dec.)*, №1704/06, 2007 წ. 26 ივნისი).

36. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, 2004 წ. 5 მაისიდან 27 ოქტომბრამდე, 5 თვისა და 24 დღის განმავლობაში, არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება განმცხადებლის დაპატიმრების შესახებ. ის ფაქტი, რომ მომჩივანი და მისი ადვოკატი სწავლობდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომელიც საბრალდებო დასკვნასთან ერთად გადაეგზავნა შესაბამის კომპეტენტურ სასამართლოს განხილვისთვის, არ წარმოადგენდა განმცხადებლის პატიმრობაში ყოფნის “კანონიერ” საფუძველს კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტის “c” ქვეპუნქტის გაგებით (*იხ. გრაუსლისი*, ციტირებული ზემოთ, § 39; *ნახმანოვიჩი რუსეთის წინააღმდეგ*, №55669/00, § 68, 2006 წ. 2 მარტი და *ხულოიოროვი*, ციტირებული ზემოთ, §§ 149-1510).

37. ამდენად, იმ დროს განხორციელებული დაკავება წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტის “c” ქვეპუნქტის დარღვევას.

II. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

38. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკრეელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

39. მომჩივანს არ წარუდგენია სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა. შესაბამისად სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს მისთვის რაიმე თანხის მიკუთვნების საჭიროება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად,

1. დასაშვებად აცხადებს განმცხადებლის პრეტენზიას უკანონო წინასწარი დაკავების შესახებ 2005 წ. 5 მაისიდან და 27 ოქტომბრამდე შესაბამისი სასამართლო ბრძანების გარეშე, ხოლო საჩივარის დარჩენილ ნაწილს - დაუშვებლად ;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის I პუნქტის “ე” ქვეპუნქტის დარღვევას.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2008 წ. 8 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით.

სალი დოლე
სექციის განმწესრიგებელი

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე